რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. — პროლეტარნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 13 ივლისი 1917 წ.

# ერთობა

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება

ფასი 10 კაპ.

გაზეთის ფასი: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან. ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ. და სადგურებზე და რკინის გზებზე. ... განცხადებების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადებები ... ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიებს რედაქცია არ ინახავს ...

ფულის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია არ მიიღებს.

რედაქციაში მიიღება მოლაპარაკება შემდეგ 10—12 ს.-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 95 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 95

## ამხანაგებო, შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

# რუსეთის სოციალ-დემოკრ. მუშათა პარტია თფილისში.

## თფილისის ქალაქის ხმოსანთა კანდიდატების სია:

1. ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე, ლიტერატორი, პირველი სახელმწიფო დუმის წევრი, მუშათა და სალდათთა საბჭოს დეპუტატების თავმჯდომარე.

2. ზურაბოვი არშაკ გერასიმეს ძე, ლიტერატორი, მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, მუშათა და სალდათთა საბჭოს დეპუტატების თავმჯდომარის ამხანაგი.

3. გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე, ნაფიცი ვექილი, მესამე სახელმ. დ მის წევრი, კავკასიის მუშათა, სალდათთა და გლეხთა ცენტრის თავმჯდომარე.

4. ჩხენკელი აკაკი ივანეს ძე, ლიტერატორი, მეოთხე სახელმ. დუმის წევრი, დროებითი მთავრობის კავკასიის კომისარი, ამიერ კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრი.

5. რამიშვილი ნოე ბესარიონის ძე, ლიტერატორი, კავკასიის გლეხთა საბჭოს ცენტრის თავმჯდომარე, თფილისის ქალაქის ხმოსანი, განათლების ჯგუფის.

6. პოპოვი დიმიტრი მიხეილის ძე, 218 პოლკის პრაპორშჩიკი, მუშათა და სალდათთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, გუბერნიის კომისარი.

7. ერზინკიანცი არშაკ არუთიუნის ძე, ჟურნალისტი, გუბერნიის რწმუნებული, კავკასიის გლეხთა ცენტრის წევრი, თფილისის ქალაქის ხმოსანი, განათლების ჯგუფის.

8. ელიავა ნიკოლოზ ზურაბის ძე, ნაფიცი ვექილი, თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე.

9. ლომთათიძე ალექსანდრე ხპირიდონის ძე, მასწავლებელი, სრულიად რუსეთის მუშათა და სალდათთა დეპუტატების თათბირიდობის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

10. ყარაჯიანი გიორგი არტემის ძე, ჟურნალისტი, ქენევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, თფილისის მუშათა და სალდათთა აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

11. ზეინალოვი ჯალილ-ბეკ-რიზა მულა ოღლი, ტელეგრაფის კანტორის მოსამსახურე, ამიერ კავკასიის გლეხთა ცენტრის თავმჯდომარის ამხანაგი.

12. ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე, ჟურნალისტი, თფილისის მუშათა და სალდათთა აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

13. აზატიანი აკი ნავასარდოვის ძე, ჟურნალისტი პედაგოგი, კავკასიის მუშათა, სალდათთა და გლეხთა ცენტრის წევრი.

14. ბერნშტეინი ერიკ ადოლფის ძე, მე-5 ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი.

15. გელეიშვილი პეტრე პავლეს ძე, ლიტერატორი, კავკასიის ცენტრის მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების წევრი.

16. კონიევი გიორგი გრიგოლის ძე, პედაგოგი, ლექტორი.

17. კონიენოვი—ჟორდანია ანნა ივანეს ასული, იურისტი, გაზეთ თფილისის მუშათა და სალდათთა უწყების რედაქტორი.

18. ხმირნოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ლექტორი—ეკონომისტი, პრაპორშჩიკი, ამიერ კავკასიის არმიის ცენტრის თავმჯდომარის პირველი ამხანაგი, სრულიად რუსეთის მუშათა და სალდათთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის წევრი „კრაევოი სოვეტის გოლოსის“ რედაქტორი.

19. ბრონსკი ბორის მიხეილის ძე, ნაფიცი ვექილი, ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ამიერ კავკასიის განსაკუთ. კომიტეტის გამომძიებელი კომისიის წევრი.

20. მახარაძე გერასიმე თომას ძე, მე-2 სახელმწ. დუმის წევრი თფილ. მუშ. დეპუტ. თავმჯდომარის ამხანაგი.

21. ხომერიკი ნოე გიორგის ძე, ჟურნალისტი, მუშათა და სალდათთა აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

22. კანდელაკი კონსტანტინე პლატონის ძე, ბუღალტერი, კოოპერატორი, ამიერ კავკასიის კოოპერატივების კავშირის თავმჯდომარე.

23. ბოკუჩავა ვასილ ანტონის ძე, მუშა, სალდათი. Управленія начальника артиллерійскихъ снабженій Кавк. Арміи.

24. ზურაბიანი აგავნი (მართ), მასწავლებელი, მკერვალთა პროფესიონალური კავშირის ხ ლმძღ ნელი.

25. ახუნდოვი ჯაფარ მოლა-გასან ოღლი, ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურე.

26. ჩერნიშოვი ალექსი ვასილის ძე, რკინის გზის სახელოსნოს მუშა, თფ. მუშ. და სალ. აღმასრ. კომიტეტის წევრი, ქალაქის ხმოსანი განათლების ჯგუფის.

27. ტრეიმანი იული ქრისტოფორის ძე, მუშა, მუშათა და სალ. დეპუტ. მუშათა სექციის მდივანი.

28. ნათაძე ლევან იასონის ძე, პედაგოგი, გაზ. „ბორბის“ რედაქტორი.

29. ლემანი გუსტავ გუსტავის ძე, ინჟინერი, მუშათა და სალდ. დეპუტ. საბჭოს წევრი.

30. ივანოვი ვასილი ივანის ძე, მუშა სალდათი, მუშათა და სალდ. აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

31. არსენიძე რაჟდენ მათეს ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე, ჟურნალისტი.

32. გოგიბერიძე კალენიკე გოგის ძე, ბუღალტერი, მუშ. და სალდ. აღმ. კომ. წევრი, პროფესიონალ. კავშირთა ცენტრ. ბიუროს თავმჯდომარე.

33. იშკოვი ლეონიდე ალექსანდრეს ძე, თფ. ქალთა უმაღლეს კურსების მასწავლებელი, ამიერ კავკასიის საოლქო მასწავლებელთა კავშირის წევრი.

34. ტერ პარსეგოვა ელეონორა მიხეილის ასული, მასწავლებელი.

35. მელჩარსკი ბრონისლავ ხიმონის ძე, კოოპერატორი, შემნახველ კასის თავმჯდომარე.

36. ფარნიევი ალექსანდრე ივანეს ძე, მუშა, მუშ., სალდათთა და გლეხთა დეპუტ. ცენტრის წევრი, თფილ. ... ორგანიზაციის თავმჯდომარე.

37. აუშტროვი რუბენ გიორგის ძე, ნაფიც. ვექილ. თანაშემწე, ქალაქის ინსპექციის კომისარი.

38. გვარჯალაძე კონსტანტინე იაგორის ძე, ჟურნალისტი, სამხედრო ექიმი, სამხედრო სანიტ. საბჭოს წევრი.

39. კიაბეროვი ანდრია იაკობის ძე, მუშა, მუშ. და სალდათთა დეპუტ. აღმასრ. კომიტეტის წევრი, ამიერ კავკ. რკ. ნ. გზის აღმას. კომიტ. თავმჯდომარე.

40. ერაძე გიორგი პავლეს ძე, მუშა, მუშათა საბჭოს დეპუტ. თავმჯდომარის ამხანაგი.

41. ლარიბოვი ხერგია არტემის ძე, ნაფიცი ვექილი.

42. დანდუროვი ხერგია ალექსანდრეს ძე, აგრონომი, ამიერ კავკ. გლეხთა ცენტრის წევრი.

43. გეპშტეინ დავითი კალმანის ძე, ჟურნალისტი, ნაფიცი ვექილი.

44. ლოხკუტოვი ანდრია ვასილის ძე, ბუღალტერი, ქალაქის მოსამსახ. ეკონომიური საზოგადოების გამგეობის წევრი.

45. ილაშკინი ილია იაკობის ძე, ნაფიცი ვექილი, მუშათა და სალდათთა დეპუტ. თავმჯ. ამხანაგი.

46. პეტროსიანი მათეოსი ვართანის ძე, ბუღალტერი, პროფ. კავშირის გამგეობის წევრი, მუშ. და სალ. საბჭოს წევრი.

47. კიკალეიშვილი პოლიეკტ ლაზარეს ძე, ტყვე ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარე, სახალხო უნივერ. გამგეობის თავმჯდომარის თანაშემწე.

48. ვარდოშიანი გარეგინე გიორგის ძე ბუღალტერი.

49. კაჩუხოვი ივანე იოსების ძე, ნაფიცი ვექილი, თფ. ქალაქ. მილიციის უფროსი.

50. რუხაძე მელიტონ ივანეს ძე, ნაფიცი ვექილი, ქალაქის სასურ. კომიტ. თავმჯდომარე.

51 კაფიევი გაბრიელი გერასიმეს ძე, ქალაქის ლომბარდის დირექტორი, საგუბერ. სასურსათ. კომიტეტის წევრი.

52 ბეხელიძე იოსებ ეგნატეს ძე, ინჟინერი, საგუბერნიო სასურ. კომიტ. გამგეობის წევრი.

53. ატოევი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, ბუღალტერი, მუშ. და სალ. დეპ. საბჭოს წევრი.

54 კიკვაძე თედორე გაბრიელის ძე, პედაგოგი, ქარ. შორ. წერ.-კითხ. გამ. საზ. გამგეობის წევრი.

55. ხიდაშელი გიორგი დავითის ძე, მუშა, მუშ. და სალ. დეპ. საბჭოს წევრი, ნაძალადევის საზოგად. კომიტეტის თავმჯდომარე.

56. ხარჭიხოვი გარეგინი თადეოზის ძე, ინჟინერი-მექანიკი, მუშ. და სალ. დეპ. საბჭოს წევრი.

57. ახვიძე ვლადიმერი ხიმონის ძე, იურისტი, პროფ. კავშ. ცენტრ. ბიუროს მდივანი.

58. ტოროშელიძე მინადორა ეფრემის ასული, ექიმი, ქართვ. შორის გამავრ. საზ. წევრი.

59. როლკე არტური ხტანისლავის ძე, იურისკონსულტი და კავკას. ოლქის გზათა კანცელარიის მართველი.

60. ტერ-გევონდიანი ტიგრან გრიგოლის ძე, ნაფიცი ვექილი.

61. ალექფერ ტაგი-ზადე აბდულაევი, ტრამვაის კონდუქტორი.

62. მინეევი ვასილი ხიმონის ძე, ქალაქის თვითმმარ. მოსამსახურე ეკონომ. საზოგ. გამგეობის წევრი.

63. მკრტუმიან ბაგრატ პავლეს ძე, მუშა, მუშ. და სალ. დეპ. საბჭოს აღმასრულ. კომ. წევრი.

64. ბადრიძე ილია გიორგის ძე, მუშა, პროფ. კავშ. ბიურ. თავმჯდ. ამხანაგი.

65. მამულაშვილი არჩილ

66. მაისურაძე ალექსანდრე სოლომონის ძე, მუშ. და სალ. დეპ. საბჭ. აღმას. კომიტ. წევრი.

67. ცინცაძე გიორგი იესეს ძე, მასწავლებელი, მუშ. და სალდ. დეპ. საბჭოს მდივანი.

68. კალანდაძე ნესტორ ლაზარეს ძე, ლიტერატორი, აგრონომი.

69. ესხენი მარიამ მოსეს ასული, მუშ. და სალდათ. დეპ. საბჭ. აღმ. კომ. წევრი.

70. კალანდაძე აზლან სამუელის ძე, მესტამბე.

71. ბენიაშვილი ისაკ იოსების ძე, მექუდე.

72. აბადკოვი ხტეფანე ნიკოლოზის ძე, მუშა, ლითონის პრ. კავშირის თავმჯდომარე.

73. რუხაძე ნინა ალექსის ასული, მასწავლებელი.

74. მგალობლიშვილი მიხეილ ფილიპეს ძე, ექიმი.

75. შიმანოვიჩი მიხეილ იაკობის ძე, მუშა-სალდათი, მუშ. და სალ. დეპ. საბჭოს წევრი.

76. გრეცინგერი გერმანი ხამუილის ძე, მუშა.

77. ცაბაძე ვასილი ზაქარიას ძე, სამეურნეო კომისიის თავმჯდომარე, გლეხთა დეპ. წევრი.

78. დომბკოვიჩი ანტონი ფელიქსის ძე, პრაპორჩიკი, ინჟინერი, პოლშელების აღმასრ. კომიტ. წევრი.

79. კრასოვსკი მიხეილ ანდრიას ძე გიმნაზ. მასწავლებელი.

80. კუდრიავცევი ალექსანდრე იაკობის ძე, რკინის გზ. მუშა, მუშ. და სალ. დეპ. საბჭოს წევრი.

81. სტრელკოვსკი ნიკოლოზ ივანეს ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე, არტილერიის გამგეობის კანცელარია.

82. ბოგდანოვი სადიხ აბდულ აზიზის ძე, მეწვრილმანე ვაჭარი.

83. ზაზიაძე გიორგი ხიმონის ძე, სათავ. აზ. გიმნაზ. მასწავლებელი.

84 ალონსკი ალე სანდრე პეტრეს ძე, კოოპერატორი, მოსკოვის კოოპერ. კავშირ. ინსტრუქტორი მუშ. და სალდ. დეპ. საბჭოს წევრი.

85 წულაია პავლე, მემანქანე, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.

86 თევდორაშვილი გიორგი ევგენის ძე, მემანქანე, მუშ. და სალ. დეპ. საბჭ. წევრი.

87. ქლიბაძე კონსტანტინე მუშა-სალდათი თფილ. საოლქო არსენალის.

88 ვართანიანი სარქისა ოვანესის ძე, მუშა, მუშ. და სალ. დეპ. საბჭოს აღ. კომ. წევრი.

89 ხაჩირაშვილი კონსტანტინე ალექსის ძე, ნოქარი, ნოქ. პროფ. კავ. თავმჯდომარე.

90. ოგანეზოვი გრიგოლი კაზარის ძე, მუშა, მბეჭდავთა პროფეს. კავშ. თავმჯდომარე.

91. გრაჩოვი თევდორე მათეს ძე, ხარაზი.

92. იაშვილი ნიკოლოზ ხარიტონის ძე, მექანიკი, ცენტ. პროფ. კავშ. ბიუროს წევრი.

93. არუთინოვი მოსეს მელქისედეს ძე, რეხნიკი.

94. ვანიევი ზაქარა ნიკოლოზის ძე, ეკონომისტი.

95. ბელოუსოვი ხერგია ვასილის ძე.

96. ლორია ფილიპე გლახას ძე, ტრამვაის მოსამსახურე, მუშ. და სალ. დეპ. საბ. წევრი.

97. ათაბეგოვა ხოფით გიურქის ასული, მკერვალი ზაოდის კომისიის წევრი.

98. კოვ ლიოვი მიხეილ ანდრიას ძე, კანტორაში მოსამსახურე.

99 ქობულაშვილი ალექ. ფარსადანის ძე, მუშა.

100. როდიშევი ნიკოლოზ პანკრატის ძე, მუშა, მუშ. და სალ. დეპ. საბჭოს წევრი.

101. მელიხოიან სარქის კარაპეტის ძე, მუშა.

102. ლორის-მელიქოვი ევა თამაზოვის ასული, კბილის ექიმი.

103. ბილინოვი გალუსტიანე მიხეილის ძე, მუშა.

104. ვიგორბინი ნიკოლოზ ვასილის ძე, მუშა.

105. კრიენი ვასილი პეტრეს ძე, მუშა, საზოგ. კომიტეტის წევრი თფილ. საოლ. არსენალის.

106. პანიევი იასონ ვასილის ძე, კანტორშჩიკი, მომხ. საზ. „ალექსანდრეს“ გამგეობის წევრი.

107. კუტუკოვი.

108 ოდელაძე ალექსანდრე ილიას ძე, მუშა რკინის გზის სახელოს. მუშ. და სალ. დეპ. საბჭოს წევრი.

109. ბერიანიძე მარიამ ლეონტის ასული, მუშა, თამბაქოს ფაბრიკისა, მუშ. და სალ. დეპ. აღმას. კომიტეტის წევრი.

110. ერზიკიანცი აკოფი არუთინას ძე, მექანიკის თანაშემწე, თამბაქოს ფაბრიკის მუშების პროფ. კავშირ. გამგ. წევრი.

111. შევცოვი პავლე სიმონის ძე, ფიტერი, მუშ. და სალ. დეპ. საბჭოს წევრი.

112. მინასარიანი პეტრე ტიგრანის ძე, მუშა.

113. გიორგობიანი იოსებ ზურაბის ძე, ელექტრ. სადგურის მემანქანე.

114. გლაზოვი ეფრემ ივანეს ძე.

115. გოჩიტაიშვილი ივლიტე გაბრიელის ასული, მკერვალი.

116. მანევიჩი რუვენ ხაიმოვის ძე, მუშა რკინის გზის დეპოსი.

117. შტეინბერგ ერვინ ქრისტიანის ძე, მასწავლებელი—სალდათი, მუშ. და სალ. დეპ. საბჭოს წევრი.

118. ციკაძე ნატალია გიორგის ასული, მკერვალი.

119. ძამანაშვილი მიხეილ ანდრიას ძე, მუშა.

120. რიკაძე ქრისტესი მიხეილის ძე, კანტორშჩიკი.

## საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

| | | |
|---|---|---|
| 1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად | 10 | კ. |
| 2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად | 10 | „ |
| 3. ს. დ. პროგრამა სომხურად | 10 | „ |
| 4. ს. დ. პროგრამა თათრულად | 10 | „ |
| 5. მუნიციპალური პროგრამა რუს. | 5 | „ |
| 6. მუნიციპალური პროგრამა ქართ. | 5 | „ |
| 7. ძირს სოც. დემ. ზრაკეს რუს. | 20 | „ |
| 8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად | 20 | „ |
| 9. მუშის წიგნაკი ქართულად | 20 | „ |
| 10. ოთხი ძმა ქართულად | 35 | „ |
| 11. კომუნისტური მანიფესტი რუს. | 20 | „ |
| 12. კომუნისტური მანიფესტი ქარ. | 25 | „ |
| 13 დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ. | 25 | „ |
| 14. დამფუძნებელი კრება რუსულ. | 25 | „ |
| 15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ. | 30 | „ |
| 16. კრიტიკა აგრარული პროგრ. მისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი | 15 | „ |

### იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუსულად.
2. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.
3. უწყება, მე 6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ მ. პ. ფასი 15 „
4. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, ჯერ კიდევ არ დაბეჭდილა ეს ბროშურა რუსეთში.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დაეთმობათ, რომლებიც 50 ცალ ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტის დაკლებით მანეთი. იქ სადაც ბანდეროლით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინასწარ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშურები არ იგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

## თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

### ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

### ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან.

ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

## კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

## დავკარგე საფულე

რომელშიაც არის ჩემთვის საჭირო სხვა და სხვა ქაღალდები, მპოვნელს ვთხოვ მოიტანოს გოლოვინის პროსპექტი ნომერ „ილიუზიონ“ რისთვისაც გასამრჯელოთ მიიღებს 15 მანეთს. ბესარიონ ზვიადაძე.

ტ. ძ უ თ ა ი ს ზ ი.

## ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ხუთშაბათს, მკათათვის 13 ს, შუადღის 12 საათზე, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულის სტუდენტის

# გრიგოლ ზურაბის ძის ზერზეულიძის

მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს გარდაცვალებულის მშობლები: ოლღა და ზურაბი, და-ძმანი: სონა და მიხეილი, რძალი დარიკო, დიდედა მარიამი და დეიდა ანნა ელიოზიშვილისა.

ამავე დღეს პანაშვიდი გადახდილი იქნება ს. დგვრისშიაც. 3—2

ხუთშაბათს, 13 ივლისს, საღამოს 7 საათზე

თფ. ქალთა I-ლ გიმნაზიის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ.) შესდგება

# შეერთებული კრება

ცენტრალურ საარჩევნო სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტისა, საოლქო კომიტეტისა, თფილისის კომიტეტისა და ყველა რაიონულ კოლექტივებისა.

დღის წესრიგი: 1) საარჩევნო კომიტეტის მოხსენება, 2) 83 ამხანაგების არჩევა საუბნო საარჩევნო კომისიებში მონაწილეობის მისაღებათ, 3) საარჩევნო კომპანიის გეგმა.

# საერთაშორისო ომი

დვინის რაიონშიაც რუსის ჯარის ზოგიერთა დივიზიები თავის ნებით უკან იხევენ და დაკავებულ პოზიციებს სტოვებენ. ვილნოს მიმართულებით მტერი წინ მოიწევს და ზოგიერთ ჩრდილოეთ რაიონები დაიკავეს. ტარნაპოლის განაპირა ადგილებში საარტილერიო სროლაა. ამ ქალაქის ბედი უკვე გადაწყვეტილი უნდა იყოს. მდ. სერეტ, სტრიპა და მდ. დნესტრის რაიონებიდან რუსის ჯარი უკან იხევს და მტერი ახალ-ახალ ადგილებს იკავებს. რუსის ჯარმა დასტოვა სტან სლავოვი.

გალიციაში მეთერთმეტე არმიის უკან გამოქცევამ რუსის ჯარი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა და ისინი სერეთ-სტრიპის ბრძოლის ხაზიდან სწრაფათ უკან იხევენ. წინაალმდეგ შემთხვევაში მათ დატყვევება მოელით.

რუმინიის ფრონტზე საარტილერიო სროლა მკაცრ ხასიათს იღებს.

კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

საფრანგეთის მთელ ფრონტზე ორივე მხარე გააფთრებულათ იბრძვის. ფრანგების ჯარი გერმანელების იერიშებს იგერიებენ.

## არჩევნები მოახლოვდა.

ორი კვირის შემდეგ—სახელდობრ 30 ივლისს საქალაქო არჩევნები დაიწყება და თფილისის დემოკრატიამ განურჩევლათ სქესისა და ეროვნებისა თავისი უკანასკნელი სიტყვა უნდა სთქვას. მოახლოვდა დრო, როცა თფილისის დემოკრატია და მრავალი მოქალაქენი საარჩევნო ყუთისთან მივლენ და მაშინ გამოირკვევა, თუ ისინი ქალაქის მართვა-გამგეობის საქმეს ვის ჩააბარებენ.

საარჩევნო კამპანიისათვის მრავალი პოლიტიკური და ნაციონალური პარტიები ემზადებიან. სოციალდემოკრატებიც, როგორც მოსალოდნელი იყო მთელი თავისი ავტორიტეტით, მთელი თავისი წმინდა დემოკრატიული საარჩევნო პლატფორმით გამოვიდა და მან უკვე მომავალ ხმოსანთა სია შეიმუშავა, რომელიც ამ წერილის თავში იბეჭდება.

ამიერ კავკასია და განსაკუთრებით კი თფილისის დემოკრატია და მოქალაქენი კარგათ იცნობენ სოციალდემოკრატიულ პარტიას და მის თავდადებულ მებრძოლთა მოღვაწეობას. თფილისის დემოკრატიამ კარგათ იცის თუ სოციალ დემოკრატია როგორ იცავს ღარიბ-ღატაკების და საერთოთ დემოკრატიულ მცხოვრებთა ეკონომიურ და უფლებრივ ინტერესებს და ამ ნიადაგზე უკანასკნელს პარველისთვის არა ერთხელ და ორჯელ ნდობა გამოუცხადებია; სახელმწიფო დუმის თუ საქალაქო არჩევნების დროს მათთვის თავისი ხმა მიუციათ.

სოციალდემოკრატია სახელმწიფო დუმაში, პოლიტიკურ ასპარეზზე თუ კომუნალურ თვითმართველობაში ყველგან და ყოველთვის დაჩაგრულ ხალხის და გალატაკებულ მცხოვრებთა ინტერესების ერთგულ დამცველათ გამოდიოდა და მათთვის არას დროს არ უღალატია. სოციალდემოკრატიულმა პარტიამ მთელი რუსეთის დიდი რევოლიუცია თავის მხრებზე გადიტანა და საუკუნოებით განმტკიცებული მონარქიული რეჟიმი პირქვე დაამხო. მან თავისი ენერგიული და შეუპოვარი ბრძოლით ფეოდალურ-ბურჟუაზიული ბარბაროსული ბატონობა დაანგრია და ფართო დემოკრატიას პოლიტიკური და სოციალური თავისუფლება მიანიჭა. ახლა ხალხს განურჩევლათ სქესისა, ეროვნებისა და რწმენისა ყველა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებაში საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება მიენიჭა და იმედია თფილისის ფართო დემოკრატია ამ უფლების მთავარ მომპოვებელ პარტიას მომავალ საქალაქო არჩევნებში ერთსულოვნით მხარს დაუჭერს და მის ხმოსანთა სიას სრულათ გაათეთრებს.

ახლა ფართო დემოკრატიას მეტი სიფხიზლე და წინდახედულობა სჭირია. მას საქალაქო არჩევნებში მრავალი ბურჟუაზიული და შოვინისტური პარტია სოციალისტების სახით ევლინებიან და ეს ვაჟ-ბატონები დემოკრატიის ინტერესების დაცვას ეფიცებიან. მაგრამ თქვენ მათმა ფსევდო-სოციალისტობამ შეცდომაში არ უნდა შეგიყვანოთ; მათ წარსულსა და აწმყო მოქმედებას თვალი უნდა გადაავლოთ და ფასი ისე დასდოთ.

თფილისის პლუტოკრატია, ნაციონალისტური და სხვა სოციალისტური პარტიები თქვენი ინტერესების დამცველნი არ იქნებიან. ისინი ყველა ერთათ შენ ჩაგრობას, თავის ბანკების ინტერესების დაცვას და პლუტოკრატიის კვერთში დგომას არ მოიშლიან, მათი პოლიტიკური ფიზიონომია თქვენ ძალიან კარგათ იცით და ეხლაც შეცდომაში არ შეგიყვანონ. სოციალ-დემოკრატიამ თავისი ხმოსანთა სია უკვე გამოაქვეყნა, შიგ მრავალი ისეთი პირებია მოთავსებული, რომლებმაც მთელი თავიანთ სიცოცხლე ხალხის სამსახურში გაატარეს, ხალხის თავისუფლების მოპოვებისათვის ციხე და კატორღებში გაატარებიათ რამდენიმე წელიწადი, სახელმწიფო დუმაში და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ხალხის ინტერესების დაცვისათვის მედგრათ უბრძოლნიათ და მათ სამართლიან ბრძოლას დიადი ნაყოფი გამოუღია.

სოციალდემოკრატიის ხმოსანთა სიაში ყველა ერისა, სქესისა და სარწმუნოების წარმომადგენლები არიან და ამ კანდიდატებში კარგათ იციან დაბალი ხალხის სოციალური და ეკონომიური გაჭირვება, კარგათ იციან თუ ქალაქის ღარიბ ხალხს სად უჭერს ფეხსაცმელი და მედგრათ შეეცდებიან მათი საზოგადოებრივ ტკივილების განკურნებას.

სოციალდემოკრატიამ საქალაქო არჩევნების პლატფორმა, საქალაქო თვითმართველობის პროგრამა შეიმუშავა და თქვენ მიერ არსებული სოციალდემოკრატების კანდიდატები ენერგიულათ გაატარებენ საქალაქო ცხოვრებაში ყველა იმ ზომებს, რომლებიც თფილისის დემოკრატიის ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

თფილისის ამრჩევლებო! თქვენ იცით სოციალდემოკრატიის წარსული, მისი აწმყო, თუ იგი რა გვარ ერთგულათ ემსახურებოდა ხალხის ფართო დემოკრატიის ინტერესებს და ახლა თქვენ მეტი თავისუფლება და საშუალება მოგეცათ თქვენი რწმენა პირუთვნელათ გამოხატოთ და მით თქვენი ხმების მიცემით საშუალება მისცეთ სოციალდემოკრატების კანდიდატები უკლებლათ გაიყვანოთ. საქალაქო არჩევნებში გამარჯვება პირველი ნაბიჯი იქნება მომავალ დამფუძნებელ კრების არჩევნებში გამარჯვებისათვის და იმედია 30 არჩევნებს მხურვალეთ მიეგებებით, მიეცით ხმა სოციალდემოკრატიულ პარტიის კანდიდატების სიას.

## პრესა.

„კავკაზსკი რაბოჩი“ ცხარე წერილს მიუძღვნის. მოუწოდებს „ბრბოს“, რომ თვალნი გახილონ, ყურებს, რომ ისმინონ და შეკავშირდენ თავისუფლების დასაცავათ... კონტრ-რევოლიუციისაგან. თუ „ბოლშევიკებს“ დავუჯერებთ, ამ ჟამათ კონტრ-რევოლიუციას სათავეში საბჭოები უდგია. საბჭოების განკარგულებით ხდება ჩხრეკა-დაპატიმრება და სხ. მართალი სთქვა ევ. გეგეჭკორმა: კრებებზე „ბოლშევიკები“ საბჭოებს მხარს უჭერენ, კრების გარეთ—გაზეთებში მას ძირს უთხრიდენო და უთხრიან კიდეც!...

* * *

უკმაყოფილებას აცხადებს „სარევოლიუციო“ პარტიის ორგანო „სახალხოც“. გაზეთი სწერს:

„წერეთელი რუსეთის მთავრობის საუკეთესო ადგილას სდგას და ისმენს თავის მშობელ ერის და სხვა მრავალ განაწამებ ერის ღაღადს... ნუ თუ წერეთლები დემოკრატები იქნებიან და ერის ღაღადს სინიდისის შეურხევლად დუმილით შეხვდებიან? ნუ თუ მთავრობის დაწესებულებაში ყოფნამ ადამიანის მრწამსი უეჭველად უნდა წაუწყმიდოს? მაშინ ხომ ასევე იქნება მათი მრწამსი შერყვნილი დამფუძნებელ კრებაზედაც“.

რაშია საქმე? ნუ თუ ამ გაზეთმა ვეღარ გაიგო, რომ თითონ რუსეთის რევოლიუცია საფრთხეშია. ყოველივე საშუალება რევოლიუციის დასახსნელათ უნდა იქნას ნახმარი! რევოლიუციის გამარჯვება სოციალისტებისათვის უმაღლესი კანონია და იგი რათაც უნდა დაუჯდეს, ცხოვრებაში უნდა გაატაროს. რევოლიუციის დამარცხებით ყველაფერი მარცხდება, მათ შორის ეროვნული საკითხიც. არ მოსწონს ერეთვე გაზეთს საერთოთ მთავრობის მოღვაწეობა. სწერს:

„სად იყო მთავრობა დღემდე თუ მთელი რიგი საქმეებისა გაუკეთებელი იყო?“

ამით ფედერალისტები იმეორებენ იმას, რასაც ჩვენი „ბოლშევიკები“ მუდამ გაიძახიან. ასე „მუშაობენ“ „სოციალისტ“-ფედერალისტები თფილისში,—მიიწევენ „მარცხნით“, სურთ დაამტკიცონ, რომ ყველაზე უკეთესი რევოლიუციონერები ისინი არიან. პროვინციელი ფედერალისტები კი სხვა გვარათ საქმიანობენ „საქართველოს“ თქმით სწერენ:

„ნ მკათათვეს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის თელავის კომიტეტმა მოიწვია პარტიული კრება. კომიტეტის თავმჯდომარემ აცნობა წევრებს, რომ მას მოუვიდა ოფიციალური ქაღალდი დაშნაკელების ადგილობრივ ორგანიზაციისაგან; დაშნაკელების ორგანიზაცია მოუწოდებს პარტიას შეთანხმებულ მუშაობისათვის ქალაქის არჩევნებში. ამას დიდი კამათი და მსჯელობა არ გამოუწვევია: თითქმის ერთხმად იყო გამოცხადებული სურვილი გამოხმაურებოდენ სომეხ სოციალისტების ეპისტოლეს და ხელი გაეწოდებინათ მათ ქრთილშობილურ მიმართვისათვის, კრებამ მიიღო გადაწყვეტილება. აირჩიეს პარტიიდან სამი კაცი, რომელნიც დაშნაკელების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავებენ საერთო პლატფორმას“.

ამას ჰქვია ფედერალისტების ენით ერთა სოლიდარობის ნიადაგზე მუშაობა. „სოციალისტ“-ფედერალისტების და „სოციალისტ“-დაშნაკელების შეთანხმებული მუშაობა! ამაზე იტყვიან: ფერი ფერსაო...

* * *

თფილისის „ბოლშევიკების“ სომხური გაზეთი „ბანვორი კრივ“ გლეხთა ყრილობის გარშემო ატეხილ კამათში ჩვენსა და „ორიზონს“ შორის ჩაერია და სწერს:

„ორიზონის მე 136 ნომერში ჯამალიანი სწერს: „მთელი ძალ-ღონის ხმარა, რათა პარტიას ყრილობაზე მეთაურობა ჩაეგდო ხელში, აი ლოზუნგი, რომელიც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა წამოაყენეს“. სიმართლეა, ბატონო ჯამალიანო, სიმართლე! არ შეჰფერის სოციალ დემოკრატიას ისეთი პოლიტიკის წარმოება, რომ მას ეთანხმებოდენ და მხარს უჭერდენ თათრის ბეგები. როგორც კი სოციალისტური პარტია უთანხმდება და ბლოკსა ჰკრავს ანტი-სოციალისტურ ელემენტებთან, ის მაშინ სოციალისტური აღარ არის. რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია შორსა სდგას ყოველგვარი „პოლიტიკანობისაგან“ და ჰკიცხავს ყოველგვარ ოპორტიუნიზმს, რაიც მუშათა კლასობრივ თვითშეგნებას აბნელებს. ჩვენ ვეთანხმებით ბატონ ჯამალიანს, რომ მენშევიკების ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ უარყო პრინციპიალური გზა და ამით საშვალება მისცა დაშნაკელებსაც კი, მათთვის შოვინიზმი დაებრალებია“. (ხაზი ჩვენია).

ჩვენ გვებრძვის დაშნაკელების შოვინისტური „ორიზონი“. გვეუბნება, კარგი სოციალისტები არა ხართო. „ბოლშევიკები“ კი ეთანხმებიან ბატონ ჯამალიანს ამაში, მხარს უჭერენ დაშნაკელებს ყველა იმ საზიზღარ ბრალდებებში, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ წამოაყენა ამ შოვინისტურმა პარტიამ. თუ თათრის გლეხობა და ბეგები ჩვენ გამოგვყვა, არ ისურვა კავშირი დაშნაკელებთან კავშირი, განა ამას ბლოკი ჰქვია? ამით იზარალებს ბევრს სოციალიზმი, თუ თქვენი ასეთი გამოსვლებით დაშნაკელებთან ერთად „სოციალისტური პრინციპს“ დაიცავთ?

## კავკასიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ამხანაგებო მუშებო! კავკასიის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა მუშათა დეპუტატების ყრილობაზე აირჩია ცენტრი, რომელმაც ცხოვრებაში უნდა გაატაროს ყრილობის ყველა დადგენილებები, რომლებიც შეეხებიან კავკასიის რევოლიუციონური პროლეტარიატის მოძრაობის გაერთიანებას, ორგანიზაციულათ მოწყობას და მის ხელმძღვანელობას.

დიადი და საძნელოა ის დავალებანი, რომლებიც ყრილობამ დააკისრა ცენტრს, დიადია აგრეთვე მისი პასუხისმგებლობა რევოლიუციისა და რევოლიუციონური პროლეტარიატის წინაშე!

ამხანაგებო! თქვენ, გამოცდილ რევოლიუციონერებს და მედგარ მებრძოლთ რუსეთის თავისუფლებისა, კარგათ გესმით, რომ ჩვენი ძალა ერთობაში და ორგანიზაციულათ შეკავშირებაშია!

კავკასიის რევოლიუციონური პროლეტარიატი თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობის მაღლა აწეული დროშით ხელში, ცენტრის გარშემო შემოკრებილი, უნდა მიისწრაფოდეს შეკავშირებულათ მთელი რუსეთის დემოკრატიასთან ერთად თავისუფალი დიდი რუსეთი დამფუძნებელი კრების გზით მიიყვანოს დემოკრატიულ რესპუბლიკამდე.

მუშათა დეპუტატების საბჭოთა კავკასიის ცენტრი ცხოველ მონაწილეობას მიიღებს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, რათა კავკასიის პროლეტარიატისა და დემოკრატიის წარმომადგენლებათ დამფუძნებელ კრებაში გავიდენ სახალხო საქმისთვის გამობრძმედილი მებრძოლნი.

კავკასიის ცენტრი პროლეტარიატისა და კავკასიაში მოსახლე ყველა ერთა ინტერესების დამცველ დარაჯათ სდგას. იმ ერების ინტერესთა დარაჯათ, რომელნიც მიისწრაფვიან ეროვნულ-კულტურულ თვითგამორკვევისა და თვითმართველობისაკენ. ამასთანავე ცენტრი იცავს ინტერნაციონალურ სოლიდარობას და ემსახურება ერთა შორის ძმობა ერთობის განმტკიცებას. კავკასიის რევოლიუციონური პროლეტარიატის ორგანიზაციულათ შეკავშირებულ გამოსვლებს რომლებიც მიმართული იქნება რევოლიუციაზე მოსალოდნელ თავდასხმათა ასაშორებლათ.

ამხანაგებო! რუსეთის დიდი რევოლიუცია განვითარებისა და ორგანიზაციულათ მოწყობის პროცესში იმყოფება, ამიტომ ის მოითხოვს ჩვენგან შეკავშირებას და მთელი ჩვენი ძალ-ღონის დაგროვებას, რომ ყოველ წამში მზათ ვიყოთ. რევოლიუცია და თავისუფლება ჩვენის მხრით საჭიროებენ შეუდრეკელსა და დაუღალავ დაცვას, ამიტომ აუცილებლათ საჭიროა გაძლიერება-გამაგრება ჩვენი რევოლიუციონური ცენტრისა, რომლებიც დარაჯათ უდგიან თავისუფლებასა და რევოლიუციას.

კავკასიის ცენტრმა რომ შესძლოს ზემო ხამოთვლილ დავალებათა შესრულება, რომ მან წარმატებით შეასრულოს კავკასიის რევოლიუციონური პროლეტარიატის ნება, ამისთვის საჭიროა თქვენი დახმარება და მხარის დაჭერა.

გაუმარჯოს რევოლიუციას!

გაუმარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

მუშათა დეპუტატების საბჭოთა კავკასიის ცენტრი.

## პეტროგრადის ამბები

12 ივლისს ნაშუადღევის 2 საათზე აკაკი ჩხენკელმა პეტროგრადიდან პირდაპირი მავთულით შემდეგი დეპეშა მიიღო:

ცენტრალურ კომიტეტს ბევრი საყურადღებო პრაქტიკული ხასიათის საკითხები აქვს რიგში გადასაწყვეტათ, მაგრამ ვინაიდან ჯერჯერობით არც ერთი მათგანი არ გადაუწყვეტია, ამიტომ ვერაფერს ვერ გაცნობებ. ქალაქში წესიერება არ დარღვეულა. მასსაში მუშაობას თანდათან ვაძლიერებთ. ჯარის ყველა პოლკებში ცენტრალურმა კომიტეტმა მუდმივი კომისარები დანიშნა. მთავრობამ ზომებმა ჯერ-ჯერობით სასურველი შედეგი მოიტანა. ფრონტზე საქმეს ცუდათ გაუმჯობესება ეტყობა, თუმცა მდგომარეობა წინანდებურათ საშიშოა. სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრალური კომიტეტები ფრონტის ყველა ჯარებში დღეს დელეგაციებს გზავნის. მათი მიზანია სულიერათ დაცემული ჯარის გამხნევება. ამასთან მათვე უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები და ჯარი საომრათ მოამზადონ.

იუსტიციის მინისტრათ დაინიშნა სახელმწიფო დუმის წევრი პროგრესისტი ეფრემოვი. ღარიბთა მზრუნველობის სამინისტროს მთავარ გამგეთ სახელმწიფო დუმის წევრი ბარიშნიკოვი.

„ბოლშევიკები“ ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ, მათ ოპოზიციას უფრო პასსიური ხასიათი აქვს. მათი საერთო ტაქტიკის შესახებ ამჟამად რაიმეს თქმა ძნელია. „ბოლშევიკების“ გაზეთები აღარ გამოდიან. მცხოვრებთა მასაში მათ წინააღმდეგ დიდი გაბოროტებაა. ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ მათი საზოგადო კრებებზე გამოსვლა შეუძლებელია. ფრონტიდან მოსული ჯარების სულიერი განწყობილება „ბოლშევიკების“ სასარგებლო არ არის. თავიანთ ასეთ განსაკუთრებულ მდგომარეობას თითონ „ბოლშევიკებიც“ გრძნობენ. როგორც ეტყობა, საბჭოების მუშაობაში ხელს აღარ შეუშლიან. ინტერნაციონალისტებიც ისე აფასებენ შექმნილ მდგომარეობას, როგორც ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა, ერთადერთი მომხდარი ამბების მიზეზების ახსნაში არ ეთანხმებიან რამდენიმეთ. ისინი ცენტრალურ კომიტეტში ლოიალურ ოპოზიციას აწარმოებენ, უმრავლესობის გადაწყვეტილებას ემორჩილებიან. როცა კენჭი უყარეს საკითხს, რომ დროებითი მთავრობა დიქტატურის უფლებებით აღიჭურვოთ, მათ თავი შეიკავეს ისე, როგორც „ბოლშევიკებმა“. მარტოვის ჯგუფში აქსელროდი არ შედის.

## დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 10—12 ივლისი).

**წერეთლის სიტყვა.**

**პეტროგრადი.** ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და დეპუტატების საბჭოს შეერთებულ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ა. ს. წერეთელმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „მე უნდა გითხრათ თქვენ თუ როგორ ვფიქრობთ ჩვენ რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცებას და მინიჭებულ სრულ უფლების გამოყენებას. რევოლიუციონური ორგანოების მიერ დრ. მთავრობის აღიარება—გამოძახილს იპოვნის მთელ რუსეთში. რევოლიუცია განსაცდელშია, ის უნდა გიხსნათ ყოველივე საშუალებით. საჭიროა ყველა ძალების შეკავშირება სამშობლოს და რევოლიუციის წინაშე ვალის მოსახდელათ. დრ. მთავრობის მოვალეობაა მიიყვანოს ხალხი დამფუძნებელ კრებამდე. ჩვენ ძალების დაფასებაში არ ვამცდარვართ, მაგრამ მხედველობაში გვაქვს უენ შენელო ძალაც კი. თქვენ მეკითხებით, რატომ იყო სამინისტროში თავადი ლვოვი? გაიხსენეთ, რომ დრ. მთავრობის ტაქტიკა იყო ზედმიწევნით დემოკრატიული. სანამ უთანხმოება ჩვენს შორის თეორეტიული იყო ის ჩვენთან იყო, მაგრამ როდესაც ის შეეფეთა დემოკრატიის კონკრეტიულ ნებას—წავიდა კიდეც“.

**ბრძანება ჯარს და ფლოტს.**

**პეტროგრადი.** დრ. მთავრობამ დაადგინა: 1) ყოფილი ჟანდარმები, პოლიციელები და „ოხრანიკები“, რომლებიც რაიმე თანამდებობას ასრულებენ, ეხლავე გადაყენებულ უნდა იქნან; 2) ეს დადგენილება არ ეხებათ იმათ, ვინც თავიანთი მოქმედებით საქმით დაამტკიცეს ერთგულება. ამათ განსაკუთრებული მოწმობები მიეცემათ; 3) ეს დადგენილება სენატის გამოქვეყნებამდის უნდა შევიდეს ძალაში. სამხედრო მინისტრი კერენსკი.

**გერმანელების ჯაშუშები.**

**პეტროგრადი.** ჩხეიძის თავმჯდომარეობით შესდგა პეტროგრადის საბჭოთა დეპუტატების სხდომა. სხდომა შეეხო 3—5 ივლისს პეტროგრადში მომხდარ ამბებს. მომხსენებლათ გამოვიდა აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ვოიტინსკი, რომელმაც აღნიშნა გერმანელების ჯაშუშები ენერგიულათ მუშაობდნენო. შემდეგ საბჭო დრ. მთავრობის ახალ უფლებას შეეხო. საბჭომ მიიღო ამის შესახებ რევოლიუციონური დემოკრატიის ორგანიზაციების ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის რეზოლიუცია.

**მოწოდება ჯარებისა და ფლოტისადმი.**

**პეტროგრადი.** 12 ივლისი. სრულიად რუსეთის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურმა კომიტეტების გაერთიანებულმა სხდომამ ჯარს მოწოდებით მიმართა, რითაც მოუწოდებენ ჯარს ნუ აქცევენ ყურადღებას იმ პირთ, რომელთაც სურთ ჯარში არევ-დარევის შემოტანა და ამით ხელს უწყობენ გერმანელების გამარჯვებას. მოწოდება ასე თავდება: ჯარისკაცებო! თქვენთვის მხოლოდ ერთი გზაა გახსნილი, ესაა წინსვლა. მთელი ქვეყანა თქვენ შემოგცქერის. რუსეთის რევოლიუციის დაღუპვა—ყველაფრის დაღუპვა იქნებოდა. მოიკრიბეთ ძალამხნეობა იხსნათ რევოლიუცია, იხსენით სამშობლო დაღუპვისაგან. ამასთანავე ზურგში მყოფ ჯარს მოწოდებაში სთხოვენ,—შეავსონ ფრონტზე დანაკლისი ჯარი. ამგვარივე მოწოდებით მიმართა რუსის ფლოტს სრულიად რუსეთის ფლოტის სამხედრო კავშირმა.

**მოწოდება მუშებისადმი.**

**პეტროგრადი.** სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა მთელი რუსეთის მუშებს შემდეგი მოწოდებით მიმართეს: ამხანაგებო! ჩვენი ჯარის ზურგში შექმნილი უთანხმოებით ავსტრო-გერმანელთა ჯარმა ისარგებლა და გაარღვია ჩვენი ფრონტი. ეს ჯარი ჯერ კიდევ უჯერის იმ უფროსებს, რომლებიც გერმანელ-ავსტრიელ იმპერიალისტთა განზრახვებს ემსახურებიან. მტრის შემოტევა ჩვენს ჯარს არ ძალუძს შეაჩეროს, ვინაიდან ჯარმა ბევრი დაჰკარგა, ბევრი არევ-დარევა შეიტანა მასში იმ აგიტაციამ, რომელსაც შეტევის წინააღმდეგ აწარმოებდენ. არც პეტროგრადში მომხდარი ამბების მიერ გამოწვეული აღელვება ჯერ დამცხრალა პროვინციებში. კონტრ-რევოლიუციაც ძალას იკრებს. საერთო დაბნეულობის ხანა დადგა რუსეთში, ძლიერდება სამეურნეო არევ დარევა, გვიახლოვდება შიმშილი და უმუშევრობა. მთელი ცხოველი ძალების მოგროვებით შეიძლება მტრის შეჩერება და რევოლიუციის განსაცდელიდან დახსნა. დროებითი მთავრობა, რევოლიუციონური დემოკრატიის მიერ განუსაზღვრელი ძალა უფლებით აღჭურვილი, რევოლიუციის მხსნელათაა გამოცხადებული. ის ენერგიულათ იბრძოლებს ანარქიის წინააღმდეგ, ის შეეცდება ძირშივე ჩაახშოს ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლები რევოლიუციონური დემოკრატიის ორგანოებთან ერთად დროებითი მთავრობა შეეცდება იმ დონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას, რომელიც დეკლარაციაშია მოყვანილი. ის ჩაერევა წარმოების მოწესრიგების საქმეში მხოლოდ რევოლიუციონურ დიქტატურას, დემოკრატიის ნება-სურვილზე და ძალაზე დამყარებულს, შეუძლია იხსნას ქვეყანა დაღუპვისა, სამხედრო დამარცხებისა და კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებისაგან. ამხანაგებო! ყოველგვარ კინკლაობას მუშათა წრეში ბოლო უნდა მოეღოს. რევოლიუციის ხსნა ჩვენს ხელშია. პირველ რიგში თქვენ მიდიოდით თავისუფლების მოსაპოვებლათ. თქვენ აღმართეთ პირველათ თვითმპყრობელობის ნანგრევებზე წითელი დროშა. თქვენვე უნდა დარჩეთ ბოლომდე თავიანთ ალაგებზე და დაიცვათ რევოლიუცია. კმარა სიტყვები! დროა სწრაფათ საქმეს მივყოთ ხელი. რუსეთის რევოლიუციის დროშა, ეს მშვიდობიანობის დროშაა, რომელიც ასე სწყურია როგორც რუსის ხალხს, ისე განაწამებ კაცობრიობას. რევოლიუციის დაღუპვა ომის გახანგრძლივება იქმნებოდა ან სამარცხვინო სეპარატიული ზავი. ყველა ქვეყნის პროლეტარებს აქვთ ეს შეგნებული და გულის ფანცქალით ადევნებენ თვალს ჩვენი რევოლიუციის მსვლელობას. ასეთ მძიმე ხანაში, დარწმუნებული ვართ, ჩვენი საზღვარგარეთელი ამხანაგები თავიანთ ძალა-ენერგიას გაათკეცებენ, მოსთხოვენ თავიანთ მთა-

ვრობებს სამართლიან საფუძველზე ზავის ჩამოგდებას, რაც რუსეთის რევოლუციონურმა დემოკრატიამ კაი ხანია ქვეყანას აღუთქვა. ამხანაგებო! ნუ დაესთმობთ მოპოვებულ თავისუფლებას უბრძოლველათ. მიაშურეთ ქარხნებში დაზგებს და იმუშავეთ. დღე, გაჩაღდეს მუშაობა ყველა ფაბრიკა-ქარხნებში. ჯარს უნდა მივაწოდოთ ყუმბარები, ხალხს უნდა შევუმსუბუქოთ სასურსათო კრიზისით გამოწვეული ტკივილები. ამხანაგებო! სამშობლოს დაცვა მსხვერპლს მოითხოვს. რევოლუციის დამხსნელი მთავრობა უპირველეს ყოვლისა მსხვერპლს მოითხოვს მქონებელ კლასთაგან, მაგრამ მუშათა კლასიც მზათ უნდა იყოს მსხვერპლის მისატანათ. უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლუციის დამარცხებასთან ერთად მუშათა კლას დაეკარგება ყოველგვარი მოპოვებანი. მჭიდროთ შემოკრბით მუშათა საბჭოების, პროფესიონალურ კავშირების და პოლიტიკური პარტიების გარშემო. მჭიდროთ შემოკრბით რევოლუციის დამხსნელი მთავრობის გარშემო. მხოლოდ თქვენს ძალაზე დაყრდნობილ მთავრობას შეუძლია რევოლუციის დაცვა, ზავის საკითხის გადაჭრა.

გზათა სამინისტროს დროებით მმართველიც მოუწოდებს რკინის გზის მუშა—მოსამსახურეებს, რომ მათ რკინის გზებზე ფხიზელი მუშაობა გააჩაღონ, რადგანაც ამას მოითხოვს სამშობლო, რევოლუციის ხსნა.

## ომის დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.)

**პეტროგრადი.** 11 ივლისი. დვინის სამხრეთ დასავლეთით ხანგრძლივ საარტილერიო სროლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა იერიშები მიიტანა და დვინა ვილნოს რკინის გზის ორსავ მხარეს მდებარე პოზიციები დაიკავა. ამის შემდეგ დივიზიებმა მტრის შეტევით თავისი ნებით დაკავებული ადგილები დასტოვეს და კვლავ თავ-თავიანთ სანგრებში დაბრუნდნენ. ვილნის მიმართულებით, კრევოს ჩრდილოეთ რაიონებში გერმანიის ჯარმა კონტრ-იერიშები მოიტანეს და ბოგუშეს ჩრდილოეთით მაღლობები დაიკავეს, აფიცრებს ტერორისტული ენერგიის დახარჯვა სჭირდებათ, რომ ჯარისკაცების მასიური უკან დახევა შეაჩერონ. მდ. სერეტიდან ქ. ტარნოპოლამდის დრო გამოშვებით სროლაა. ტარნოპოლის განაპირა ადგილებში, ზბორობლიას რაიონში სასტიკი საარტილერიო სროლა სწარმოებს.

მიკულინცას რაიონში მტერმა მდ. სერეტი გადმოლახა და სოფ. ვოლია მაზოვეცკაია დაიკავა. მდ. სერეტსა და სტრიპას შუა მტრის ჯარი იერიშების მიტანას განაგრძობს და ბერნადუვკა-დორუხოვ-ბურკანოვის რაიონები დაიკავა.

ბუჩაჩის ჩრდილო დასავლეთით ჩვენი ჯარი მონასტერ-ჟისკას ბრძოლის ხაზთან გამაგრდენ. მდ. დნესტრის სამხრეთიდან ჩვენი ჯარი აღმოსავლეთისაკენ იხევს. სტანისლავოვი დავცალეთ.

რუმინიის ფრონტზე საარტილერიო სროლა ძლიერდება.

კავკასიის ფრონტზე ნაღმოსნების „სტროგისა“ და „სმეტლივის“ დახმარებით ტირებოლოს ყუმბარები დავუშინეთ და ყაზარმები და საწყობები დავანგრიეთ. ბატარეების დახმარებით მდ. კარშუტ-დარასი გადავლახეთ, ოსმალეთის გამაგრებულ ადგილს თავს დავესხით და იქ მყოფი 21 ჯარისკაცი და 1 აფიცერი ტყვეთ წამოვიყვანეთ. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

**პარიზი.** 10 ივლისი. კრაონნას განაპირა ადგილებში მდებარე სანგრებზე გერმანელები განაგრძობენ იერიშების მიტანას. კაზემატას მახლობლად მტერმა ჩვენი სანგრების პირველი წყება დაიკავა, მაგრამ მალე კონტრ-იერიშები მივიტანეთ და ზოგიერთი დაკარგული ადგილი დავიბრუნეთ.

**პარიზი.** 10 ივლისი. სერპის აღმოსავლეთით წინ წავიწიეთ. იურტებიზასა და კრაონნას რაიონში საარტილერიო სროლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. ერთი დღის განმავლობაში რეიმს 850 ყუმბარა ესროლეს. შამპანში გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ. ნანსის ჩრდილოეთით მტერმა საარტილერიო სროლა განაცხოველა.

**ლონდონი.** 10 ივლისი. საფრანგეთის ფრონტზე, ავიონის სამხრეთით მტრის სამხედრო ტყვეები წამოვიყვანეთ. ტყვეები წამოვიყვანეთ აგრეთვე ავრენკურის სამხრეთით მდებარე პოზიციებიდან.

**რომი.** 10 ივლისი. კოშორჩის მაღლობებთან ჩვენმა არტილერიამ მტრის ბატარეები დააზიანა. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა.

## ახალი ამბები

**ბათუმის საქალაქო არჩევნების შედეგი.** ბათუმის საქალაქო არჩევნები დასრულდა. ხმოსნებათ აირჩიეს: სოც.-დემოკრატი—24; სოც.-რევ.—26; დაშნაკცაკანი—4; ს.-ფედ.—1; ნაციონალ-დემ.—1; ებრაელ.—1; მუსულმანი—1; კადეტი—2. სოც.-დემ. მიიღეს მოქალაქეთა 5828 ხმა და სამხედრო პირთა—3749; სოც. რევ.—მოქალაქეთა 2050 ხმა და სამხედრო პირთა—8775.

◆ **სავალდებულო დადგენილება.** თფილისში ძლიერი სიცხეების გამო, რომ სხვადასხვა მოარული სენი არ გავრცელდეს, ქალაქის თავი წინადადებას აძლევს სახლის პატრონებს, ყოველ დღე დაასუფთაონ ეზოები და ქუჩები. ამასთანავე წინადადება ეძლევა ვაჭრებს შეინახონ სავაჭრო დუქნები „სავალდებულო დადგენილებათა“ თანახმათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკათ დაისჯებიან. ყველა მოქალაქეს, ვისაც შეუძლია ამ წესების დარღვევის შესახებ ცნობების მოწოდება, უნდა მიმართონ ქალაქის სამმართველოს მე 3 განყოფილებაში, საქმო სანიტარულ ბიუროს.

◆ **ღვინის გაყიდვა.** მეღვინეთა და მევენახეთა საბჭომ გამოიმუშავა ზომები ღვინის გაყიდვის მოსაწესრიგებლათ. განზრახულია ღვინის გაყიდვა მოეწყოს ბარათების სისტემით. ერთ კაცს მიეცემა დღეში არა უმეტეს ნახევარ ბოთლისა. იქ, სადაც ხდება ჯარისკაცთა და ხალხის შეჯგუფება—ღვინო სრულებით არ გაიყიდება. ბარათების მიღება შეიძლება სასურსათო კომიტეტებში. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, ღვინით ვაჭრობის უფლება წაერთმევა. ეს პროექტი დასამტკიცებლათ წარედგინება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს.

◆ **თფილისის სამრეწველო რაიონის** ფაბრიკა-ქარხნების პატრონთა საზოგადოებამ განუცხადა მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს, რომ მისი წარმომადგენლები ვერ მიიღებენ მონაწილეობას თფილისის სამრეწველო დაწესებულებებში შაბათობით და კვირეებში 6 საათის სამუშაო დღის შემოღების საკითხის განხილვაში. სამუშაო დროს 1 საათით შემცირება ხსენებულ დღეებში საზოგადოებას არ მიაჩნია საჭიროთ.

◆ **ნოქართა პროფესიონალურ კავშირთან** მოეწყო განყოფილება, რომელიც კისრულობს უმუშევართათვის ადგილის შოვნას და აწარმოებს ნოქრების, ბუხგალტრების და კანტორის მომუშავეთა რეგისტრაციას. განყოფილება სთხოვს საზოგადო და აგრეთვე კერძო სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს საჭირო დროს მიმართონ კავშირს. ამხანაგებს ვსთხოვთ შეატყობინონ კავშირს, თუ სადმე აღმოჩნდეს თავისუფალი ადგილი.

◆ **ღვინის კომისიის დადგენილება.** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან არსებულ ღვინის კომისიამ დაადგინა: ღვინო და სხვა მაგარი სასმელები მიეყიდოს ეკლესიებს, ლაზარეთებს, სავადმყოფოებს და გოსპიტლებს პასუხისმგებელ პირების მოთხოვნით და ექიმის რეცეპტით. ქორწილისათვის, ქელეხისათვის და ნათლობისათვის მიეცემათ არა უმეტეს 10 ბოთლისა. ამ წესების თანახმათ ღვინის ყიდვის ნებართვას იძლევა მილიციის უფროსი.

◆ **ქართველთა შორის წ.-კ. გამ. საზოგადოების** არმავირის განყოფილების გამგეობა იწვევს პირველ დაწყებით სკოლის მასწავლებელს, მასწავლებელს მიეცემა თვეში 100 მან., ოთახი და მოსამსახურე.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 7 საათზე სახალხო სახლში შესდგება მიტინგი სავადმყოფოთა მოსამსახურეებისა და სანიტარ-ექიმებისა. აგარონოვი წაიკითხავს მოხსენებას მუნიციპალურ პროგრამაზე.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, თფ. ქალთა 1 ლ გიმნაზიის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ.) შესდგება შეერთებული კრება ცენტრალურ საარჩევნო სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტისა, საოლქო კომიტეტისა, თფილისის კომიტეტისა და ყველა რაიონულ კოლექტივებისა. დღის წესრიგი: 1) საარჩევნო კომიტეტის მოხსენება; 2) 83 ამხანაგის არჩევა საუბნო საარჩევნო კომისიებში მონაწილეობის მისაღებათ; 3) საარჩევნო კამპანიის გეგმა.

## გ. ხერხეულიძის ხსოვნას.

დღეს 13 ივლისს შესრულდა ერთი წელიწადი პოეტ კიკნაველთან ერთათ ტრაგიკულათ დაღუპულ სტ. გრიშა ხერხეულიძის სიკვდილის შემდეგ.

თიანეთის მახლობელ პატარა სოფელში უდროვოთ გამოგვეცალა ხელოვნ. ენერგიით და ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა. ის საზარელი ამბავი, რომელმაც ესოდენ აღაშფოთა თავის დროზე მთელი საზოგადოება, „თიანეთის ტრაგედია“ დღესაც ბნელით არის მოცული... დღესაც კითხულობენ დაინტერესებული პირნი თუ ვინ მოუსპო ნორჩი სიცოცხლე ჩვენს „პატარა ექიმს“, როგორც მას გლეხები უწოდებდენ თიანეთში. რას მოიფიქრებდა სახელ-დაუვიწყარი გრიშა, თუ ნანატრი დრო იმის სიკვდილის შემდეგ, სულ მალე გაგვინათებდა, „ჩვენი, დღეის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის გარშემო შემოკრება, მის პირველ დაძახებისთანავე ქუჩაში გამოსვლა აი საითკენ მოუწოდებთ ჩვენ დემოკრატიასაო“, ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები იმის უკანასკნელივე ლექციის დროს ნაძალადევის თეატრში შარშან გაზაფხულზე. ეს მოწოდება შესრულდა ჩემო ძვირფასო მეგობარო!

ხ. მ—ძე.

## ბათუმის ქალაქის არჩევნები.

გასულ კვირას მთელ ქალაქს განსაკუთრებული ელფერი ედო. ეტყობოდა, რომ რაღაცა ცვლილება უნდა მომხდარიყო. მართლაც 10 პარტია და ჯგუფი 9 ივლისისათვის საბრძოლველათ ემზადებოდა. ამ დღეს ქალაქის არჩევნები უნდა მოხდეს და ყველა ცდილობს მოახდინოს თავისი ძალების მობილიზაცია და მეტი ხმოსანი გაიყვანოს. ამას მით უფრო ჩადის ის, რომ არჩევნები პროპორციონალურია და იცის რაც მეტ ხმას შემოიკრებს, მით მეტ ხმოსანს გაიყვანს.

ქუჩები და სახლის კედლები სავსეა პროკლამაციებით და განცხადებებით. „მოქალაქენო ხმა მიეცით სოც.-დემ. სიას № 1!“ აქვე შეხვდებით წითელი საღებავით ამავე მოწოდებას კედელზე წარწერილს. „ვისაც გინდა მიწა და თავისუფლება, ხმა მიეცით № 2!“ მოუწოდებენ ესერები. „თუ გინდათ, რომ ქალაქის თვითმართველობაში პოლიტიკურსა და კლასთა ბრძოლას ადგილი არ ექნეს, მხარი დაუჭირეთ № 9!“

საერთოდ კი ეტყობა, რომ უმთავრესი ბრძოლა სოც.-დემოკრატებსა და სოც.-რევოლუციონერებს შორის უნდა მოხდეს. ესერების გავლენა ადგილობრივ ხალხზე ძლიერ სუსტია; მათ ჯარის იმედი აქვთ, მარა აქაც შიშობენ, ერთი იმიტომ, რომ არ იციან არჩევნების დროს რამდენი იქნება ჯარი და გარდა ამისა, მათ კარგათ ესმით, რომ ჯარში მათი გავლენა მხოლოდ დროებითია და თუ სოც.-დემოკ. იმუშავებენ აქაც გამოაცლიან ნიადაგს.

ყველა ეს კარგათ ჰქონდათ გათვალისწინებული სოც.-რევ. და ამიტომ იყო, რომ მათმა კომიტეტმა არჩევნების სამზადისის დაწყებისთანავე მიმართა სოც.-დემოკ. კომიტეტს შეეკრათ მათთან ბლოკი და დაეთმო მათთვის 45 ადგილიდან 15. ე. ი. ერთი მესამედი. ბათ. სოც.-დემ. კომიტეტმა უარჰყო ესერებთან ბლოკი და უმთავრესად იმ მოსაზრებით, რომ ადგილობრივ სოც.-რევოლუციონერების გარშემო დიდძალი „გამოურკვეველი“ ხალხი იყრის თავს. ჩვენმა გადაწყვეტილებამ ძლიერ გააბრაზა მათი ბელადები და არაფერ ბრძოლის საშუალებას არ დაერიდენ ჩვენს წინააღმდეგ. მთელ ამ არჩევნებში მათ სავსებით გაამართლეს ჩვენი მათზე შეხედულება და ისე მოიქცენ, რაც არ შეჰფერის სოციალისტურ პარტიას. „სოც. დემოკრატია ქართველების პარტიაა“—ეუბნებოდენ რუსის შეუგნებელ მასას. „აქვენ ისინი მიწაზე ლალას დაგადებენ“,—ჩასჩურჩულებდენ ჰობის უბნის რუს მცხოვრებლებს და სხვა ასეთებს.

სოც.-რევოლუციონერებმა სიტყვიერი დემაგოგია არ იკმარეს. კანონით საარჩევნო სია ხმოსნების არჩევნებამდის ორი კვირით ადრე ქვეყნდება. ამის შემდეგ არავის უფლება არ აქვს შეტანილი იქნესა და არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. 23 ივნის საარჩევნო სია მეორეთ საბოლოოთ გამოცხადდა და 9 ივლისისათვის არჩევნები დაინიშნა.

როგორღაც არჩევნების წინა დღეებში ტრაპეზუნდიდან „დასასვენებლათ“ მოვიდა ბარნაულების პოლკი და მოითხოვა: გინდათ თუ არა, არჩევნებზე უნდა დაგვიშვათ, ჩვენ კანონს არ დაგიდევთო. მუშათა და ჯარის კაცთა დეპ. საბჭომ ბარნაულების მოთხოვნილება უკანონოთ აღიარა; ამ კრებაზე ესერებმაც დაიცვეს ეს აზრი, ხოლო მეორე დღეს ქალაქის თვითმართველობაში მათი ერთი ლიდერთაგანი ბარნაულებთან ერთათ ითხოვდა არჩევნებზე დაშვებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდენ. საარჩევნო კომისია და ქალაქის თავი დაემორჩილა უხეშ ძალას და მისცა უფლება ხუთშაბათიდან შაბათამდე ვისაც გინდათ ჩაეწერეთო.

სოც.-დემოკრატების ერთი ნაწილი მოითხოვდა, რადგან აშკარათ ირღვევა ყოველივე საარჩევნო წესი და ძალმომრეობა ხდება, ასეთ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადოთ და მაშინ დაინახონ ესერებმა 9 ივლისს სალდათებს გარდა ყუთებთან თუ ვინმე მივაო. მეორე ნაწილი ამხანაგებისა კი ამბობდა: მართალია აშკარა ძალმომრეობა ხდება, მარა ბოიკოტს მაინც ნუ გამოვუცხადებთ, მით უმეტეს ამას ჩვენი მოწინააღმდეგენი სადემაგოგო მასალათ გამოიყენებენ და შეიძლება ქალაქში ექსცესები დაიწყოსო. რომ მართლაც თავიდან აგვეცილებია ყოველივე არევ-დარევა, სოც.-დემ. კომიტეტმა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა ასეთ არჩევნებში.

მეტი რაღა გზა იყო თუ არა მუშაობა. ხუთშაბათიდან კიდევ უფრო გაჩაღდა მუშაობა. დაიწყო უბნებში პროპაგანდა აგიტაცია, შეუდექით საარჩევნო გაზეთის გამოცემას; პარასკევს ჩვენი დროშებითა და საარჩევნო წარწერებით „გრუზავიკი“ ავტომობილი დადიოდა ქალაქში და მართავდა ქუჩებში პატარ-პატარა მიტინგებს. შაბათს ყველა მეეტლეებს ორივე გვერდით წინ მიკრული ქონდათ ჩვენი პლაკატები შემდეგი წარწერით: „წადით ქალაქის საკრებულოში და მიეცით ხმა № 1-ს“ ეს რაღაც განსაკუთრებითი შთაბეჭდილებას ახდენდა. მაგალითათ ეტლში ზის ან ფედერალისტი, ან სოც.-რევოლუციონერი, ან და კადეტი და მიდის. გამოდის თითქოს იგი ეპატიჟებოდეს № 1 მიეცით ხმაო.

ამავე დღეს რუსულსა და ქართულ ენაზე გამოვიდა გაზეთები. ქალები, მუშები, სალდათები და სხვები მთელ ქალაქს მოედვენ და ყიდიან. საღამოს თითქმის ცოტა-ღა დარჩა გაუყიდველი. შაბათსვე ყველა ენებზე გავრცელდა სოც.-დემ. ფურცლები. რაიონებში ყველგან ჩვენ საარჩევნო ბარათებს არიგებენ პატარა ბავშვები. შემოდიან ბიუროში და გვეკითხებიან როდის გამოვა ახალი ფურცელი რომ გავავრცელოთო. ეტყობათ, რომ ისინიც ძლიერ დაინტერესებული არიან.

კაჟი.

(დასასრული იქნება).

## მებრძოლთა მოგონების სამგლოვიარო დღე.

(წერილი ხაშურიდან).

ამ 14 წლის წინათ, ე. ი. 14 ივლისს, 1903 წ. ღ. ხაშურის მიდამოებში ადგილი ჰქონდა სისხლის ღვრას, რომლის მოწამენი დასახელებული რაიონის მოქალაქენი იყვნენ და რომელთაც არას დროს არ დაავიწყდებათ იმ საშინელ დღეს დაჭრილ-დახოცილთა გვარები და მწარე კვნესა.

14 ივლისს, 1903 წელს, როგორც ამას მოგვითხრობს იმ დროინდელი მუშების მოძრაობის ისტორია და სასამართლოს მიერ შემდგარი საბრალმდებლო ოქმი, სად. მიხაილოვის ამიერ-კავკასიის რკინის გზის დეპოსი და სხვა დარგის მუშებს რიცხვით 500—1000 კაცამდე გაფიცვა დაუწყიათ და მთავრობისთვის ეკონომიური მოთხოვნები წაუყენებიათ. დილის 9 საათზე მუშები თავს ანებებენ მუშაობას, გამოდიან ბაზრის თავში, აქ მოიყრიან თავს დანარჩენი მოსამსახურე ხელოსნებიც და წითელი დროშით დემონსტრაციას ახდენენ დაბაში. გაფიცულთა მოთხოვნილება ასეთი იყო: 8 საათის სამუშაო დღე, ხელფასის მომატება, უკანონოთ დასჯილ-დათხოვნილ ამხანაგების განთავისუფლება და სამსახურში დაბრუნება და ამავე დროს დათხოვნა იმ უფროსი ხელოსნებისა (მონტიორებისა, ბრიგადირებისა), რომელთა ხელშიც გადაცემულა ძალაუფლება და უსამართლოთ სჯიან დაბალ მოსამსახურეთ. ამ გაფიცვის ინიციატორათ გამოსულან ბაქოსი და თფილისის რკინის გზის მუშები, ამ მუშათა მოძრაობის ცენტრებს კი გამოხმაურებიან განჯისა, მიხაილოვისა, სამტრედიისა, ბათუმისა და სხვ. დეპოების მუშებიც. ერთი სიტყვით ამ დღის გაფიცვა ყოფილა მასიური და ძველი რეჟიმის მთავრობაც თავისებურათ ამოქმედებულა. მიხაილოვის გაფიცულმა მუშებმა დილიდანვე ჩამოიარეს რკინის-გზის ყველა დაწესებულებანი და ხელოსნებსა და მოსამსახურეებს სამუშაოზე ხელი აღებინეს. მრავალ-რიცხოვანი დემონსტრანტები შუადღის 12 საათზე მიუახლოვდენ იმ ადგილს, სადაც სამი რკინის-გზის ლიანდაგი ერთდება: ბათუმისა, სურამისა და ბორჯომის. ზემო ხსენებულ ადგილას დაუხვდა გაფიცულთ ჩასაფრებული სურამის კომანდის ჯარის კაცები კაპიტან დეგუროვის მეთაურობით, ხაშურ-სურამის სამოქალაქოს დარაჯები ბოქაულ პოდგორნის მეთაურობით და სადგურის ჟანდარმერია. მიუახლოვდენ თუ არა ამ ადგილს, მუშებს წინადადება მისცეს დაშლილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ წინააღმდეგ ძალას იხმარდენ. პოლიციის მუქარამ ძალზე აღელვა გაფიცულები და უკანასკნელები წინ სვლას შეეცადენ. ამ დროს ბორჯომიდან მოდიოდა სახალხო მატარებელი და ისიც შეაჩერეს. გაისმის კაპიტან დეგუროვის ბრძანება: „მაშ, არ იშლებით? აბა, ესროლეთ“-ო! ბრძანება უმალვე სისრულეში მოიყვანეს და გაისმის ჯარისა და პოლიციელების თოფების გრიალი. პოლიციის დარაჯები ბოქაულ პოდგორნის ბრძანებით წამოიჩოქებენ და მიზანში იღებენ საუკეთესო მებრძოლ ბიჭებს. დარაჯი—გიორგი გოგიშვილი, რომელმაც ყველაზე უფრო ისახელა იმ დღეს თავი, მიზანში იღებდა მოწინავე მებრძოლთ და მისი ტყვიით გულ განგმირულები სისხლით იცლებოდნენ. ისტორიამ არ უნდა დაივიწყოს ეს გოგიშვილი. სისხლით დაცლილი, უიარაღო მუშები, უკანასკნელ ძალას იკრებენ, ლომებსავით გადაუხტევიან შეიარაღებულთა ბანაკში და ლამობდენ იარაღის წართმევას. მშვენიერი ვაჟკაცი—გულადი ვეშაპიძე გაფთრებული დაეძგერება მოწინააღმდეგეებს, დიდხანს იბრძვის, მაგრამ ბოლოს სისხლიდან დაცლილი—გულ განგმირული დაეცემა მიწაზე. წაიქცევიან უსულოთ ბევრი სხვებიც: თოთიბაძე, ლომინაშვილი, ტატვინიძე და სხვ. დანარჩენები ქვებით ხელში იბრძვიან სიცოცხლის შესანარჩუნებლათ. გულშემზარავი სურათი გეხატებათ თვალ წინ. შეშინებული ხალხი აქეთ-იქით ეხეთქება და გარბის, ზოგიც ძირს ეცემა გულ შეწუხებული. ყველგან სისხლის მორევი სდგას. აურიებელი დაჭრილი და დახოცილები. ნახევარი საათის ბრძოლის შემდეგ, გამარჯვებულები პირზე ღიმილით სტოვებენ ბრძოლის ველს და თფილისისაკენ დამახინჯებული დეპეშები მიჰქრის მომხდარ „ბუნტის“ შესახებ, დამარცხებულთა ბანაკში ოხვრა-კვნესა გაისმის. შეშინებული ხალხი თანდათანობით თავს იყრის იმ საშინელ ადგილას და დაჭრილ დახოცილთა პატრონობას კისრულობს. მოკლულია 11 კაცამდე, დაჭრილია 16—20. შორს წასული ტყვიებით სოფლებშიაც აღმოჩნდა დაჭრილი ხალხი და შინაური საქონელი. მეორე დღესვე იწყება ახალი ტანჯვა: აჯანყებულთ—ბრალიანსა და უბრალოს, ჟანდარმა პოლიცია—როტმისტრ [illegible] მეთაურობით აპატიმრებს და [illegible] სატუსაღოში. პოლიცია ადგენს თავის გემოვნებაზე შეთხზულ ოქმებს. ჟანდარმერია და პოლიციის დარაჯები ისეთს ჩვენებას იძლევიან, როგორიც მათ უფროსებს ესიამოვნებათ. მოწმეთა უმრავლესობაც ხომ ეს უკანასკნელებია.

დამარცხებულ მუშებს პასუხის-გებაში აძლევენ და აი, ნოემბრის 7, 8 და 9 რიცხვებში 1903 წელს—აჯანყებულთ ასამართლებენ თფილისის საოლქო სასამართლოში. პასუხის-გებაში არიან მიცემულნი 15 კაცი: დიმიტრი უდანოვი, ვლადიმერ ხოზბეროვი, გიორგი კვესაძე, ვასო ლაბაძე, ივანე სუხიევი, სერგო არუთიუნოვი, დავით თედორაშვილი, გიორგი გუჯაბიძე, რომან მეგრელიშვილი, მათე მესაბლიშვილი, ვასო სამხარაძე, ლეონ ჩახოიანცი, ნიკოლოზ ფერაძე, პროკოფი კიკნაველიძე და დავით კამკამიძე.

პროცესმა გასტანა სამ დღეს. სასამართლოს განაჩენით: უდანოვს, ხოზბეროვს, სამხარაძეს, კვესაძეს, არუთიუნოვს და ლაბაძეს, როგორც უმთავრეს მოთავეთ, უწყვეტავენ 2 ნახ. წელიწადს გამასწორებელ რაზმში გაგზავნას, ღირსების ახდით. მისაბლიშვილს და ჩახოიანცს ერთნახევარ წელიწადს გამასწ. რაზმში. ფერაძეს, სუხიევს, მეგრელიშვილს და კიკნაველიძეს კი წელიწად ნახევარს ციხეში ჯდომა. გაამართლეს გუჯაბიძე, კამკამიძე და თედორაშვილი.

ამ ამბის შემდეგ განვლო 14 წელმა. ბევრი ქარცეცხლი გამოიარა მშრომელმა ხალხმა, ნახა 1905 წლის რევოლუცია და მოესწრო 1917 წლის ბრწყინვალე დღეებსაც. დიდი ხანია ნატრობდა ხაშურელი მოქალაქე იმ დროს, როდესაც შეძლება მიეცემოდა შესაფერისის ღირსებით მოეგონებია 1903 წ. გმირულათ დახოცილები. და, აი, ამ სანეტარო დროსაც შეესწრო. დღეს, მთელი ხაშურის რაიონი ემზადება ამ დღესასწაულისათვის. ხაშურ-სურამ-ბორჯომის რაიონის მუშათა და ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების შეერთებულმა კრებამ მიიღო თავის თავზე ინიციატივა ამ სამგლოვიარო დღის აღნიშვნა მოწყობისა და პროგრამის შემუშავებაც არჩეულ კომისიას მიანდო. სამგლოვიარო დღის აღნიშვნა უნდა გადახდილიყო 14 ივლისს, მაგრამ, რადგან 14 ივლისი საქმის დღეა და სოფლის ხალხი არ უნდათ მოაცდინონ სამუშაოს, ამიტომ იგი 16 ივლისისათვის დაინიშნა შემდეგის წეს რიგით: დილის 9 საათ. დეპოში მასცემენ შაბაშს: მთელი მუშები და მოსამსახურენი შეიკრიბებიან რკინის გზის ბაღში. თავს მოიყრიან აგრეთვე ჯარისკაცები, მოქალაქენი, ხელოსნები, გლეხები და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები თავიანთის დროშებით. პროცესია—მუზიკით და სარევოლუციო სიმღერებით გაემართება იმ ადგილისაკენ, სადაც 14 ივლისს 1903 წ. დაიღვარა მუშების უმანკო სისხლი. მიტინგს გახსნიან მოკლე სიტყვით—იმ ბრძოლის გმირი უდანოვი და მუშა ლ. მეტრეველი. ორატორებიც ილაპარაკებენ. ამის შემდეგ მოხდება დაბაში დემონსტრაციები და ხალხი მშვიდობიანათ დაიშლება. დახოცილთ გადაუხდიან სამოქალაქო პანაშვიდს და ამ დღეს, გარდა მოძრაობისა, მუშაობა ყველგან შეწყვეტილი იქნება რკინის გზაზე.

ამ დღეს ყველა გულის ფანცქალით მოველოდით და რადგან მოვესწარით ნატვრის შესრულებას, ამიტომ ღირსეულათაც უნდა გადავიხადოთ იგი, განსაკუთრებულის პატივის ცემით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი დახოცილი, საერთო საქმისათვის წამებული გმირები და მათი სახელი და გვარები ოქროს ასოებით უნდა ჩავწეროთ ჩვენი ქვეყნის რევოლუციის ისტორიაში. რომ გმირების სახელი უკვდავვყოთ და მომავალმა ახალმა თაობამაც ღირსეულის პატივით მოიხსენიოს მოძრაობის ის პირველი მერცხლები. საჭიროა ბრძოლის ადგილას ხალხმა ძეგლი დადგას და ზედ მებრძოლთა გვარები გამოაქანდაკოს. იმედია ხაშურის საზოგადოება შესძლებს ამას და თავის წვლილს არ დაიშურებს. დიე, მრავალმა ხალხმა მოიყაროს თავი და გაიხსენოს ის შავბედი დღე.

ნიკო გურული.

## სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

**ბათუმი.** (დასასრული).

**ინტელიგენტური ძალები.**

ინტელიგენტური ძალები საკმარისი არ არის, ამიტომ კომიტეტის მუშაობა ფერხდება. რევოლუციის შემდეგ პარტიული მუშაობა ერთი ასათ გაიზარდა, ხოლო მომუშავე ძალები არ მომატებია. ამის შესახებ მან რამდენიმეჯერ მიმართა საოლქო კომიტეტს, მარა ამ უკანასკნელმა დახმარება ვერ აღმოუჩინა. რამოდენიმე ინტელიგენტი, რომელიც ადგილობრივათ არის სხვა რევოლუციონურ ორგანიზაციებში და საზოგადო საქმეებში ისე არიან ჩაბმულნი, რომ ან სულ არ ცალიათ პარტიულ მუშაობისათვის, ან და ძლიერ ცოტა.

მოსწავლე ახალგაზრდობა თანდათან იკრიფება პარტიის გარშემო. არის სტუდენტ მარქსისტთა და მოსწავლე მარქსისტთა ჯგუფი.

**დანარჩენი პარტიები და მათი ძალთა განწყობილება.**

ბათუმში ამ ჟამათ გარდა ს.-დ. პარტიისა არიან: სოც.-რევ. სოც. ფედ. კადეტები და ნაციონალ-დემოკ. მათგან სოც. რევ. ყველაზე მეტი გავლენა ჯარში აქვთ, მცხოვრებლებში ძლიერ მცირე; კადეტებს აქვთ გავლენა მცხოვრებლებში უფრო მეტი ვინემ სხვა დანარჩენ სამს. უმთავრესათ ჩინოვნიკებში და შეძლებულ ნაწილში. ფედერალისტები აქ ძლიერ სუსტი არიან და თითქმის არც კი სჩანან; ნაც. დემ. ყავთ მიმდევრები ვაჭრებში. ფედერალისტები და ნ. დემ. ორივენი ცდილობენ მოიპოვონ გავლენა აჭარლებში.

**ჩვენი პარტიის საერთო გავლენა.**

სოც.-დემ. პარტიის საერთო გავლენა, როგორც ყოველთვის ეხლაც დიდია. მისი გავლენა ვერ შეასუსტეს ისეთმა ავტორიტეტულმა რევ. ორგანიზაციებმაც კი როგორიცაა მუშათა და ჯ. კ. დეპ. საბჭოები არიან. ეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე სჩანს, საჯარო კრებებზე, მიტინგებზე და სხვა ასეთებზე სოც.-დემ. უფრო უსმენენ ვინემ სხვებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდის აქ ერთი მთლიანი სოც. დემ. ორგანიზაცია არსებობდა „ბოლშევიკთა“ რიცხვი ძლიერ მცირეა და ვინც არიან ისინიც ჩვენთან ერთათ

